



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/866

09 / ივლისი / 2019 წ.



KA000082384552319

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის N13/15 დადგენილების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26²-ე მუხლის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონისა მე-5₁ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 5² მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით განისაზღვროს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:
 - ა) კონსტანტინე თოფურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
 - ბ) ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
 - გ) კახაბერ მაშავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;
3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს, კომისიის წევრს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ვასილ თოდუას.
4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის საჯარო მოსამსახურეებისგან შექმნილი მუშა ჯგუფის შემადგენლობა:
 - ა) გოდერძი შონია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის, ტრანსპორტის განყოფილების უფროსი, მუშა ჯგუფის წევრი;
 - ბ) ლელა გოგელიძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის, ტრანსპორტის განყოფილების საჯარო დანესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მუშა ჯგუფის წევრი;
 - გ) ნუგზარ ალანია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის, ინფრასტრუქტურის, წყალარინებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი, მუშა ჯგუფის წევრი;
 - დ) თემური ოდიშარია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის, მშენებლობის ინსპექტირების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მუშა ჯგუფის წევრი;

ვ) ლევანი ჭეღია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის, მშენებლობის ინსპექტირების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მუშა ჯგუფის წევრი.

მუშა ჯგუფი ვალდებულია მოახდინოს საკონკურსოდ წარდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმება, შეფასება, სათანადო დასკვნის შედგენა და სხვა დოკუმენტაციის მომზადება;

5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საკონკურსო განცხადება (დანართი 1) გამოქვეყნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ. გვერდზე <http://www.poti.gov.ge>.

6. განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული, საკონკურსოდ გათვალისწინებული რეგულარული მარშრუტის ნომრები, მარშრუტზე მომუშავე (სამუშაო დღე) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, სახეობა და მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო და ინტერვალი თანახმად დანართი 2-ისა.

7. განისაზღვროს კონკურსის მონაწილის ადგილი, თარიღი და დრო (ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12, 2019 წლის 16-19 აგვისტო 9:00-დან 18:00-ის ჩათვლით), ხოლო საკონკურსოდ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება შეფასდეს ნებართვის მაძიებლის კონკურსში დაშვებიდან 2019 წლის 05 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ფოთი ჭანტურიას ქუჩა №3.

8. განისაზღვროს საკონკურსო პირობები, კერძოდ:

ა) „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის N13/15 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) კონკურსში გამარჯვებულმა (M3 კატეგორია) უნდა უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეების უფასო მომსახურება დღის ნებისმიერ დროს (დილა, შუადღე, საღამო). აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელის მიმართ გატარდება მოქმედი ნორმატიური აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

9. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის N13/15 დადგენილების (დადგენილების ცვლილება N6/11 2016 წლის 30 მარტი), დანართი N2-ის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კონკურსში გამარჯვებულმა, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების უფლების მინიჭებამდე წინასწარ უნდა გადაიხადოს 1 (ერთი) თვის თანხა, ხოლო ერთი თვის შემდეგ ყოველ თვე 1 (ერთი) თვის გადასახდელი თანხის ოდენობით არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლის (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება სანებართვო პირობების დარღვევით) თანახმად ნებართვის მფლობელი დაჯარიმდება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

10. განისაზღვროს კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, კერძოდ: განცხადება, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მენარმისათვის მენარმეთა, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერები;

ბ) ნებართვის მაძიებლის მფლობელობაში არსებული და კონკურსში წარსადგენი ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მონომობის, ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების (გამოცდა) გავლის დოკუმენტის ქსეროასლები, ლიზინგის ან იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულების ასლები;

გ) დოკუმენტაცია მარშრუტზე განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და სხვა მაჩვენებლების შესახებ, რომელშიც ასახული უნდა იყოს:

გ.ა) მგზავრთა გადაყვანის განსახორციელებლად გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი, ტევადობა, სარეგისტრაციო და საიდენტიფიკაციო ნომრები, ხნოვანება (გამომშვების წელი).

დ) მძღოლის მართვის მონომობის ასლი;

ე) მძღოლის ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა N100).

ვ) კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს საკონკურსო პირობებთან ერთად მგზავრთა გადაყვანის სავარაუდო ღირებულების ზედა ზღვარი, რომელიც არ შეიცვლება ნებართვის მოქმედების პერიოდისთვის.

ზ) ნებართვის მოქმედების პერიოდისთვის მგზავრთა გადაყვანის ზედა ზღვრის მეცვლა დასაშვებია მხოლოდ ნებართვის გამცემ ორგანოსთან შეთანხმებით ფასწარმოქმნის მექანიზმში არსებული ძირითადი კომპონენტების დასტურის საფუძველზე, რომელიც არ იქნება 10%-ზე ნაკლები.

11. საკონკურსო განაცხადის მიღება დამთავრდეს, 2019 წლის 28 ივლისს 17 საათზე, (მისამართი: ქალაქ ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა N12).

12. საკონკურსო კომისიის სრული მისამართია ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12;

13. განისაზღვროს საკონკურსოდ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები და კონკურსის მონაწილე ნებართვის მაძიებლის შეფასების კრიტერიუმები თანახმად დანართი 3-ისა;

14. კომისიამ, მუშა ჯგუფის მიერ, საკონკურსოდ წარმოდგენილი სატრანსპორტო საშუალების შემოწმებამდე (არაუგვიანეს 2019 წლის 05 აგვისტო) დაადგინოს საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა საკონკურსო პირობებთან. **აღნიშნული პროცედურის დროს მონმდება:**

ა) სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია;


ბ) შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია საკონკურსო პირობებით დადგენილ მოთხოვნებს.

15. ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე მოახდინოს დაშვებული მეცდომების, უზუსტობების გასწორება.

16. კომისია ნებართვის მაძიებელთა კონკურსში დაშვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მასალების საჯარო განხილვის მიზნით აქვეყნებს (ვებ. გვერდზე <http://www.poti.gov.ge>) ცნობას, სადაც მითითებული უნდა იყოს:

- ა) არსებული რეგულარული საქალაქო მარშრუტის ნომერი და მასზე სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად კონკურსზე დაშვებული ნებართვის მაძიებლ(ებ)ის სრული დასახელება;
- ბ) ინფორმაცია საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობისათვის წერილობითი შენიშვნების და მოსაზრებების წარდგენის ვადების შესახებ;
- გ) კონკურსის მონცობის თარიღი, დრო და მისამართი (ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის N12, 2019 წლის 16-19 აგვისტო 9:00-დან 18:00-მდე).
17. ის საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული აღნიშნული ბრძანებით რეგულირდება, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის N13/15 დადგენილებით „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ და მოქმედი კანონმდებლობით.
18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია წარმოდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე დასასაქმებელი კონტინგენტის (მძღოლების) შერჩევას უპირატესობა მიენიჭოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში ადგილობრივ ტერიტორიულ საზღვრებში საქალაქო რეგულარულ მგზავრთა გადაყვანაზე რეგისტრირებულ მძღოლების დასაქმებას.
19. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 მაისის N602 ბრძანება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.
20. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).
21. ბრძანება გამოიკრას საჯაროდ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში.
22. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე <http://www.poti.gov.ge>.
23. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

გონა კურდღელია